ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 55

30 მარტი
"---"---------- 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის" განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისაგან გრანტის მიღებასა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის" განხორციელების მიზნით გრანტის ხელშეკრულების" გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 მარტის N18.175.362 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის" განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" ფარგლებში 280 000 (ორას ოთხმოცი ათასი) ევროს ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე